№1131 2015 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

ავღანეთში ნატოს ახალ მისიაში - „ მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (Resolute Support Mission - RSM) მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ვაქცინაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავღანეთში ნატოს ახალ მისიაში - „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (Resolute Support Mission – RSM) საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, თავის ბალანსზე რიცხული, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ან სხვა პროექტებიდან/წყაროებიდან შესყიდული, გადაცემული ან მიღებული, ქვემოთ მოყვანილი ფარმაცევტული პროდუქტი და ასაცრელი მასალები (ამ პროგრამების/პროექტების

მიზნობრივი ჯგუფის მიუხედავად) მოხმარების მიზნით, გადასცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:

ა) ტეტანუსი-დიფთერიის საწინააღმდეგო ვაქცინა - 400 (ოთხასი) დოზა;

ბ) შპრიცი 0,5 მლ - 400 (ოთხასი) ცალი;

გ) შპრიცების გასანადგურებელი უსაფრთხო ყუთი - 5 ცალი.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყონ ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**